საჯარო სამართლის იურიდიული პირი
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო
უნივერსიტეტი
Legal Entity Public Law
SAMTSKHE –JAVAKHETI STATE UNIVERSITY
წარმომადგენლობითი საბჭო REPRESENTATIVE COUNCIL

ოქმი № 5 „10" 10 2022წ

დადგენილება № 21

სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზოგიერთი პერსონალის მიერ დამატებით შესრულებული სამუშაოსთვის დანამატის განსაზღვრის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ნ" ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სამცხე–ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 13 მაისის N52/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „ო" ქვეპუნქტის, სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2014 წლის 10 დეკემბრის N44 დადგენილებით დამტკიცებული წარმომადგენლობითი საბჭოს რეგლამენტის მე-4 მუხლის „ტ" ქვეპუნქტის თანახმად, წარმომადგენლობითი საბჭო ადგენს:

1. სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზოგიერთი პერსონალის მიერ დამატებით შესრულებული სამუშაოსთვის განისაზღვროს დანამატი შემდეგი წესითა და ოდენობით:

ა) მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში განხორციელებული საქმიანობისთვის, განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სპეციალისტის ლაურა თარხნიშვილის სახელფასო დანამატი განისაზღვროს 250 (ორას ორმოცდაათი) ლარის ოდენობით;

ბ) ელექტრიკოსის საქმიანობის შესრულებისთვის, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ ბრძანებით გათვალისწინებული პერსონალის სახელფასო დანამატი განისაზღვროს 250 (ორას ორმოცდაათი) ლარის ოდენობით;

გ) ცეცხლფარეშის მოვალეობის შესრულებისთვის, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ ბრძანებით გათვალისწინებული პერსონალის სახელფასო დანამატი განისაზღვროს 250 (ორას ორმოცდაათი) ლარის ოდენობით;

დ) კანცელარიის დებულებით გათვალისწინებული დამატებითი სამუშაოს შესრულებისათვის არქივარიუსის სახელფასო დანამატი განისაზღვროს 250 (ორას ორმოცდაათი) ლარის ოდენობით;

ე) სამსახურის დებულებებით გათვალისწინებული მოვალეობების შესრულებასთან ერთად, დამატებით სატენდერო საქმიანობის განხორციელებისათვის, სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სატენდერო კომისიის წევრებისა და აპარატის წევრების სახელფასო დანამატი განისაზღვროს 250 (ორას ორმოცდაათი) ლარის ოდენობით (თუ აპარატის წევრი ამავე დროს კომისიის წევრიცა მიიღებს მხოლოდ ერთ დანამატს).

2. ამ დადგენილების პირველი პუნქტის „ა" და „გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული პერსონალის მიერ დამატებით შესასრულებელი სამუშაოსა და დანამატის მიღების პერიოდი განისაზღვროს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებით.

3. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

4. დადგენილება გაეგზავნოს სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის აპარატს, აღრიცხვა-ანგარიშგების სამსახურს, დაინტერესებულ პირებს და განთავსდეს ვებ-გვერდზე.

5. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში ახალციხის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ახალციხე, კ. მებაღიშვილის ქ. N62.

6. საფუძველი: სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის შუამდგომლობა; განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის 2022 წლის 07 ოქტომბრის N1257129 სამსახურებრივი ბარათ.

წარმომადგენლობითი საბჭოს
სპიკერი, პროფესორი

ლავრენტი ჩიბურდანიძე